

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
კ ა ნ ო ნ ი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და
დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში (გაზეთი “აჭარა”, №251, 22.12.2004) შეტანილ
იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-10 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1. კონსტიტუცია მიიღება უმაღლესი საბჭოს მიერ სრული შემადგენლობის ორი
მესამედით და ძალაში შედის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის
დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის ამოქმედებისთანავე.“

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კონსტიტუციაში ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანა ხდება უმაღლესი
საბჭოს მიერ კონსტიტუციური კანონის სახით და იგი კონსტიტუციის განუყოფელი
ნაწილია.“

2. მე-17 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კონსტიტუციის, კონსტიტუციური კანონის, კანონის, უმაღლესი საბჭოს
რეგლამენტისა და უმაღლესი საბჭოს დადგენილების მომზადების, მიღების, გამოქვეყნებისა
და მოქმედების წესი განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით,
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, ამ კანონითა და უმაღლესი საბჭოს
რეგლამენტით.“

3. 25-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დაუშვებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ან/და აჭარის
ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის დაჩქარებული ან/და გამარტივებული
წესით განხილვა და მიღება.“

4. 29-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. თუ უმაღლესმა საბჭომ არ მიიღო მთავრობის თავმჯდომარის შენიშვნები, კენჭი
ყვრება კანონის პირვანდელ რედაქციას. კანონი მიღებულია ჩაითვლება, თუ მას მხარი
დაუჭირა უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ სამმა მესუთედმა.“

5. 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტი (გარდა
კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონისა) ძალაში შედის, მისი ოფიციალურ
ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-10 დღეს, თუ თვით ამ საკანონმდებლო აქტით სხვა ვადა არ
იქნა დადგენილი.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

ლევან ვარშალომიძე

ბათუმი,
2007 წლის
№